პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 276 (19717) სამშაბათი, 2 დეკემბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გაძლიერების შესახებ

ამ საკითხის გამო მიღებულ დადგენილებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ პარტიის XXVII ყრილობის მიერ დამტკიცებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარის დემოკრატიზაციის, მასების შემოქმედებითი აქტიურობის გაძლიერების კურსის განხორციელება განუყრელად უკავშირდება სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების სიმყარე დაცვის უზრუნველყოფას, სოციალური სამართლიანობის პრინციპების ზედმიწევნით ზუსტ აღსრულებას. ყრილობის მითითებათა შესაბამისად თანამიმდევრულად ხორციელდება საკანონმდებლო, ორგანიზაციული და აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებები, რომელთა მიზანია სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სამართლებრივი საფუძვლების, სოციალისტური დისციპლინის განმტკიცება, წამატებებისა და თვალის ახვევის აღმოფხვრა, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევა, უშრომელი შემოსავლის, სხვადასხვა სამართალდარღვევის, ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ეს ღონისძიებები ერთსულოვნად მოიწონა ხალხმა, ისინი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს საზოგადოებაში მთელი ატმოსფეროს გაჯანსაღებას.

მაგრამ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფისთვის, მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვისათვის მუშაობა ჯერ არ არის საკმაოდ [illegible] ადგილობრივ [illegible] [illegible] [illegible]

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

(დასასრული)

ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის გაღრმავების აუცილებელი პირობაა, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო, საოკრუგო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს დაავალა ფართოდ გაშალონ და თანამიმდევრულად, მიზანდასახულად აწარმოონ მუშაობა სოციალისტური კანონიერების, მოქალაქეთა უფლებების მკაცრად დაცვის უზრუნველყოფისათვის, და მიიჩნიონ ეს მომდინარე გარდაქმნის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს, განუყოფელ მხარედ.

პარტიული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საბჭოებთან ერთად მოლიანად აგებენ პასუხს თავიანთ ტერიტორიაზე კანონიერებისა და მართლწესრიგის მდგომარეობისათვის. ისინი მოწოდებული არიან მუდმივად იქონონ თვალთახედვის არეში ეს საკითხები, წარმართონ და კოორდინაცია გაუწონ პარტიული ორგანიზაციების, სახელმწიფო დაწესებულებების, სამართალდაცვითი ორგანოების, მთელი საზოგადოებრიობის მეცადინეობას კანონის მოთხოვნათა ყოველგვარი დარღვევებისა და მოქალაქეთა უფლებების შემლახველი ყოველგვარი მოქმედების აღმოფხვრისა და თავიდან აცილებისათვის, აქტიურად გამოიყენონ ამ მიზნით ორგანიზაციული, ეკონომიკური, იდეოლოგიური და სამართლებრივი საშუალებები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა შეუნელებელი ყურადღება გადაეთმოთ მშრომელთა სამართლებრივ აღზრდას, ჩამოვუყალიბოთ მათ უფლება-მოვალეობების ერთიანობის ღრმა გაგება, დიდი მოქალაქეობრიობა, ჩავუნერგოთ საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური ერთად ცხოვრების წესების პატივისცემა, სოციალისტური კანონიერების ყოველგვარი დარღვევებისადმი შეურიგებლობის გრძნობა. ნიადაგ ვიზრუნოთ ხელმძღვანელი კადრებისა და სპეციალისტების სამართლებრივი მომზადების გაუმჯობესებისათვის და მივიჩნოთ ეს მათი საქმიანი კვალიფიკაციის ამაღლების აუცილებელ პირობად. ყველა საბჭოთა ადამიანს ჩავუნერგოთ იმის რწმენა, რომ მტკიცე კანონიერება, შეგნებული დისციპლინა ჩვენი დემოკრატიის განყოფელი ნაწილია, რომლის შემდგომი გაფართოება აქტიურად უწყობს ხელს საბჭოთა საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა მხარის განვითარებას.

როგორც დაღგენილებაშია აღნიშნული, კანონიერების დარღვევის ყოველი შემთხვევა, ვინც უნდა დაუშვას იგი, პრინციპულად, მწვავედ უნდა შეფასდეს და მკაცრად დაიგმოს, ხოლო ამაში ბრალეული პირები მთელი სიმკაცრით დაისაჯონ. ამასთან საჭიროა თანამიმდევრულად განვახორციელოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდების მოთხოვნა, რომ კომუნისტები ორმაგად აგებენ პასუხს კანონის დარღვევისათვის — სახელმწიფოსა და პარტიის წინაშე. იმათ მიმართ, ვინც ცდილობს ფეხქვეშ გათელოს საბჭოთა კანონები, მოქალაქეთა უფლებები, არ შეიძლება და არც უნდა ვიჩენდეთ ლიბერალიზმსა და შემწყნარებლობას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მნიშვნელოვნად გაიზარდოს სახალხო დეპუტატთა საბჭოების ყველა რგოლის, მათი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ კანონებს განუხრელად იცავდნენ სახელმწიფო დაწესებულებები და სამეურნეო ორგანიზაციები, თანამდებობის პირები და ყველა მოქალაქე სკკუთარ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისათვის. მტკიცედ უნდა დავძლიოთ ბიუროკრატიზმისა და საქმის გაჭიანურების, ადამიანებისადმი, მადი კანონიერი ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისადმი უსულგულო, ჩინოვნიკური დამოკიდებულების ყველა გამოვლინება.

სახალხო დეპუტატთა აღგილობრივი საბჭოები მოწოდებული არიან ყაღრესად აქტიურად ადეკნენ გავლენას მათდამი დაქვემდებარებული შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოების საქმიანობაზე, უზრუნველყოფდნენ მუდმივი კომისიების, აღმასკომების სესიებსა და სხდომებზე, შრომითს კოლექტივებში და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამ ორგანოების ხელმძღვანელთა ანგარიშებისა და ინფორმაციების განხილვას. შეუნელებელი ყურადღება უნდა დაეთმოს სანოტარო კანტორების, ადვოკატთა კოლეგიების, იურიდიული კონსულტაციების, სახვატოინსპექციის აღგილობრივი ქვეგანაყოფების, უბნის ინსპექტორების, მილიციის საპატრულო-საგუშაგო და საპასპორტო სამსახურების მუშაობაში სიზუსტისა და კულტურის დონის ამაღლებას.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ გაძლიერდეს სახალხო კონტროლის ორგანოების, აგრეთვე ამხანაგური სასამართლოების, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმიელების, სიფხიზლისათვის ბრძოლის საზოგადოებებისა და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლი კანონიერების განსამტკიცებლად, სოციალისტური საკუთრებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დასაცავად თვისი კონსტიტუციური მოვალეობების შესრულების დროს თითოეული საბჭოთა მოქალაქის აქტიურობის გადიდების საქმეში.

საჭიროდ არის მიჩნეული სასამართლოების, პროკურატურის, მილიციისა და სხვა სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის გარდაქმნა, რათა ისინი საიმედოდ იცავდნენ სახელმწიფოს ინტერესებსა და მოქალაქეთა უფლებებს, კიდევ უფრო ეფექტიანად ებრძოდნენ სამართლდარღვევებსა და დანაშაულობებს, მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული მშრომელებთან, გვიჩვენებდნენ კანონიერების უმაცრესი დაცვის მაგალითს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ამხ. ვ. ი. ტერებილოვს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს ამხ. ა. მ. რეკუნკოვს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრს ამხ. ა. ვ. ვლასოვს, სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრს ამხ. ბ. ვ. კრავცოვს, სსრ კავშირის მთავარ სახელმწიფო არბიტრს ამხ. ე. ვ. ანისიმოვს დაავალა თანამიმდევრულად აღმოფხვრან ნაკლოვანებები შესაბამისი სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობაში, გაუმჯობესონ მათი ხელმძღვანელობა, ყოველნაირად გაზარდონ მომთხოვნელობა კადრებისადმი სამსახურებრივი მოვალეობის უზადო შესრულების, პროფესიული მომზადების მუდმივი სრულყოფისათვის. სამართალდაცვითი სამინისტროებისა და უწყებების პარტკომებსა და პარტიულ ბიუროებს წინადადება მიეცათ გაძლიერონ აპარატების კომუნისტების, მათ შორის ხელმძღვანელი კადრების პასუხისმგებლობა გარდაქმნის განხორციელებაში პირადი წვლილისათვის, მინდობილ უბნებზე ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოითხოვა, გადაჭრით მოეღოს ბოლო წინასწარგანწყობის, ტენდენციური მიდგომის გამოვლინებებს მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის დროს საქმის გაჭიანურებას, გულქვაობას, გულგრილობას ადამიანების ბედისადმი. სამართალდაცვითი ორგანოების მუშაობის პრაქტიკიდან მთლიანად უნდა გამოირიცხოს დაუსაბუთებელ დაკავება-დაპატიმრებათა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მოქალაქეთა უკანონოდ გადაცემის ფაქტები. ყოველი ასეთი შემთხვევა უნდა შეფასდეს როგორც საგანგებო შემთხვევა, იგი გულმოდგინედ უნდა შემოწმდეს და დასკვნები პრინციპული და მკაცრი უნდა იყოს.

პარტიული კომიტეტების ყურადღება მიეპყრო იმას, რომ საჭიროა გაძლიერდეს სამართალდაცვითი ორგანოების პოლიტიკური ხელმძღვანელობა, კონტროლი გაეწიოს მათს საქმიანობას, გაიზარდოს პასუხისმგებლობა მათი ფუნქციების ზუსტი შესრულებისათვის. როგორც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, ამასთან არ უნდა დავუშვათ ვინმეს, ვინც უნდა იყოს იგი, ჩარევა კონკრეტული საქმეების გამოძიებასა და სასამართლო გარჩევაში.

დღენიადაგ უნდა ვზრუნავდეთ სამართალდაცვითი ორგანოების კადრების თვისებრივი შემადგენლობისა და აღზრდის გაუმჯობესებისათვის, მკაცრად ვადევნებდეთ თვალს იმას, რომ სასამართლოებში, პროკურატურაში, შინაგან საქმეთა და იუსტიციის ორგანოებში სამუშაოდ იგზავნებოდნენ პოლიტიკურად მოწიფული, ზნეობრივად უმწიკლო ადამიანები, რომლებიც დიდ პროფესიულ მომზადებას უხამენენ მოქალაქეობრივ ვალიკოებას, მოუსყიდველობას, სამართლიანობის გამახვილებულ გრძნობას. ამ მიზნით უნდა გავაფართოოთ ამ ორგანოებში შრომითი კოლექტივების, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მიერ გაგზავნილი პირების სამუშაოდ მიღების პრაქტიკა, დაუცხრომლად აღვზარდოთ სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკები კანონის ღრმა პატივისცემის, ნამდვილი ჰუმანურობის, ხალხის თავდადებული და უანგარო სამსახურის სულისკვეთებით.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, გაიზარდოს სასამართლოებში, პროკურატურის, ოსტიციისა და სახარბიტრაჟის დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა ორგანოების ქვეგანაყოფებში მოქმედი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მებრძოლურობა. წარვმართოთ მათი მუშაობა იმისათვის, რომ აქტიურად ახდენდნენ გავლენას საბჭოთა კანონების დაცვის, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისათვის აპარატის მუშაობის სრულყოფაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ პირად შემადგენლობაში სამსახურებრივი დისციპლინის განმტკიცებას.

სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ განუხრელად გააძლიერონ საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სახელმწიფო და სახელშეკრულებო დისციპლინის, შრომის კანონმდებლობის დაცვისათვის, სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ, აგრეთვე წამატებების, უხარისხო პროდუქციის გამოშვების, უყაირათობისა და მფლანგველობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონების შესრულებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ სამართლებრივი ბერკეტები, უწყებრივი კონტროლი, საკადრო და იურიდიული სამსახურები, მთელი სამართალგამოყენებითი პრაქტიკა ეფექტიანად უწყობდნენ ხელს სოციალისტური გერგილიანობის განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შემფერხებელი, ვიწროუწყებრივი, ბიუროკრატიული დაბრკოლებების აღმოფხვრა ს, საიმედოდ ეღობებოდნენ ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგება სოციალისტური მეურნეობრიობის პრინციპებს. ჯეროვანი წესრიგი უნდა დამყარდეს ნორმატიული ხასიათის ინსტრუქციების დამეკტებასა და ბრძანებების გამოცემაში, უზრუნველყოფილ იქნეს, რომ უწყებრივი აქტები შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას, დროულად გადაისინჯოს მოძველებული დებულებები.

საკავშირო პროფსაბჭოს, პროფკავშირების დარგობრივ კომიტეტებს, პროფკავშირების რესპუბლიკურ, სამხარეო, საოლქო, საქალაქო საბჭოებს, პირველად პროფკავშირულ ორგანოებს რეკომენდაცია მიეცათ გააქტიურონ საქმიანობა მშრომელთა კანონიერი ინტერესების დაცვისათვის, შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი ზედამხედველობისა და კონტროლისათვის, შრომითი ხელშეკრულებების გაუქმების დროს ადმინისტრაციის ინიციატივით მოაწყონ მიღებულ გადაწყვეტილებათა საფუძვლიანი გულდასმითი შემოწმება, გამოიჩინონ სიმტკიცე და თანამიმდევრულობა დადგენილი წესის დარღვევის შემთხვევებში, არ დაუშვან მუშაკების უკანონო დათხოვნა. უნდა გაძლიერდეს პროფკავშირების ტექნიკური და სამართლებრივი ინსპექციების როლი შრომის პირობების გაუმჯობესებაში, შრომის კანონმდებლობის ნორმების დაცვაში. უფრო ფართოდ უნდა ჩაებან მათს მუშაობაში აქტივისტები თვით მშრომელთა წრიდან.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემია, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, სამართალდაცვითი ორგანოებ ი ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები და სასწავლებლები მოწოდებული არიან ამაღლონ სამეცნიერო კვლევის დონე, უფრო აქტიურად დაამუშაონ კანონიერების განმტკიცების აქტუალური საკითხები, განამტკიცონ იურიდიული მეცნიერების კავშირი პრაქტიკასთან, სრულყონ იურიდიული კადრების მომზადება და სამართლებრივი სწავლების სისტემა სკოლებში, პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში.

ცენტრალური და ადგილობრივი გაზეთებისა და ჟურნალების, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რედაქციებს რეკომენდაცია მიეცათ სისტემატურად გააშუქონ ხალხიანობის კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის, სამეურნეო საქმიანობის გარდაქმნაში სამართლებრივი მეთოდების გამოყენებისათვის პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო, სამართალდაცვითი ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, აღნიშნულია დადგენილებაში, მოწოდებული არიან თავიანთი გამოსვლებით ადამიანებს ჩაუნერგონ კანონის ღრმა პატივისცემა, ის, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა განუხრელი დაცვა შეესაბამება როგორც მთლიანად საზოგადოების, ისე თითოეული საბჭოთა ადამიანის ინტერესებს, წარმოადგენს მყარი მართლწესრიგის, მოქალაქეთა უფლებების ხელშეუვალობის გადამწყვეტ ფაქტორს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

ᲙᲐᲜᲝᲜᲘ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

(დასასრული)

8. ქალაქი რუსთავი	36,6	20
9. ქალაქი გორი	77,1	75
10. ქალაქი ტყიბული	86,9	35
11. ქალაქი ზუგდიდი	46,7	20
12. ქალაქი წყალტუბო	23,5	20
13. ქალაქი მარნეული	27,3	25
14. აბაშის რაიონი	82,1	40
15. ადიგენის რაიონი	79,6	95
16. ამბროლაურის რაიონი	65,5	75
17. ახალციხის რაიონი	85,0	95
18. ახალქალაქის რაიონი	76,8	50
19. ახალციხის რაიონი	78,9	20
20. ახმეტის რაიონი	92,1	61
21. ბოგდანოვკის რაიონი	79,5	50
22. ბოლნისის რაიონი	16,9	45
23. ბორჯომის რაიონი	8,6	30
24. გარდაბნის რაიონი	57,4	25
25. გეგეჭკორის რაიონი	71,9	75
26. გორის რაიონი	38,2	50
27. გურჯაანის რაიონი	88,3	35
28. დმანისის რაიონი	62,0	72
29. დუშეთის რაიონი	41,7	55
30. ვანის რაიონი	86,2	45
31. ზესტაფონის რაიონი	50,3	25
32. ზუგდიდის რაიონი	64,8	60
33. თეთრი წყაროს რაიონი	86,0	54
34. თელავის რაიონი	34,0	40
35. თერჯოლის რაიონი	9,1	31
36. თიანეთის რაიონი	83,5	80
37. კახეთის რაიონი	25,2	32
38. ლაგოდეხის რაიონი	32,3	25
39. ლანჩხუთის რაიონი	79,9	20
40. ლენტეხის რაიონი	43,8	95
41. მაიაკოვსკის რაიონი	88,6	25
42. მარნეულის რაიონი	83,2	76
43. მახარაძის რაიონი	31,9	25
44. მესტიის რაიონი	79,6	85
45. მცხეთის რაიონი	81,8	10
46. ონის რაიონი	18,6	90
47. ორჯონიკიძის რაიონი	62,1	80
48. საგარეჯოს რაიონი	23,5	45
49. სამტრედიის რაიონი	16,1	40
50. საჩხერის რაიონი	45,2	70
51. სიღნაღის რაიონი	30,5	50
52. ქარელის რაიონი	88,0	30
53. ყაზბეგის რაიონი	81,5	100
54. ყვარლის რაიონი	30,6	65
55. ჩოხატაურის რაიონი	78,9	65
56. ჩხოროწყუს რაიონი	55,7	55
57. ცაგერის რაიონი	85,0	100
58. ცხაკაიას რაიონი	1,5	21
59. წალენჯიხის რაიონი	61,8	70
60. წალკის რაიონი	84,8	85
61. წითელი წყაროს რაიონი	88,0	60
62. წულუკიძის რაიონი	80,1	55
63. ხაშურის რაიონი	3,8	50
64. ხობის რაიონი	50,2	50

მუხლი 9. გადაეცეს სოფლის რაიონების ბიუჯეტებს (შემდგომში სახალხო დეპუტატთა სადაბო და სასოფლო საბჭოების ბიუჯეტებში გადასაცემად) საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ბიუჯეტში შემოსული ბრუნვის გადასახადის ნაწილი, გამოანგარიშებული სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო საქონელბრუნვასთან პროცენტობით, შემდეგი ოდენობით:

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	30	კასპის რაიონი	8
ქალაქი ჭიათურა	40	ლაგოდეხის რაიონი	7
ქალაქი ტყიბული	34	ლანჩხუთის რაიონი	10
ქალაქი წყალტუბო	5	ლენტეხის რაიონი	51
აბაშის რაიონი	27	მაიაკოვსკის რაიონი	22
ადიგენის რაიონი	38	მარნეულის რაიონი	7
ამბროლაურის რაიონი	30	მახარაძის რაიონი	5
ასპინძის რაიონი	42	მესტიის რაიონი	44
ახალქალაქის რაიონი	15	მცხეთის რაიონი	8
ახალციხის რაიონი	19	ონის რაიონი	27
ახმეტის რაიონი	8	ორჯონიკიძის რაიონი	35
ბოგდანოვკის რაიონი	17	საგარეჯოს რაიონი	6
ბოლნისის რაიონი	19	სამტრედიის რაიონი	6
ბორჯომის რაიონი	13	საჩხერის რაიონი	20
გარდაბნის რაიონი	4	სიღნაღის რაიონი	7
გეგეჭკორის რაიონი	14	ქარელის რაიონი	22
გორის რაიონი	8	ყაზბეგის რაიონი	36
გურჯაანის რაიონი	4	ყვარლის რაიონი	14
დმანისის რაიონი	32	ჩოხატაურის რაიონი	16
დუშეთის რაიონი	19	ჩხოროწყუს რაიონი	14
ვანის რაიონი	22	ცაგერის რაიონი	32
ზესტაფონის რაიონი	16	ცხაკაიას რაიონი	18
ზუგდიდის რაიონი	5	წალენჯიხის რაიონი	13
თეთრი წყაროს რაიონი	8	წალკის რაიონი	25
თერჯოლის რაიონი	8	წითელი წყაროს რაიონი	9
თელავის რაიონი	10	წულუკიძის რაიონი	11
თიანეთის რაიონი	35	ხაშურის რაიონი	7
		ხობის რაიონი	16

მუხლი 10. დამტკიცდეს ანარიცხები პროცენტობით 1987 წლისათვის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტებში და ადგილობრივ ბიუჯეტებში საქართველოს სსრ მხუბუქი მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის, საქართველოს სსრ სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის სისტემაში შემავალი გაერთიანებებისა და საწარმოების, ხოლო ქალაქ ფოთის ბიუჯეტში სხვა სამინისტროებისა და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების, მოგების, თავისუფალი ნაშთიდან და თავისუფალი ამორტიზაციიდან, მოგებიდან, აგრეთვე რესპუბლიკურ ბიუჯეტში შესატანი ჭარბი საბრუნავი სახსრებიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ „საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 1986 წლის 28 ნოემბრის №741 დადგენილებით მიღებული ოდენობით.

მუხლი 11. დაეკალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს წინადადებები და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების დასკვნებში საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ, აგრეთვე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომებზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებანი და შენიშვნები, და მიიღოს მათ გამო შესაბამისი გადაწყვეტილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 29 ნოემბერი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილება

საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში — 3.368.671 ათასი მანეთისა და გასავლის ნაწილში — 3.290.379 ათასი მანეთის ოდენობით, გასავალზე შემოსავლის 78.292 ათასი მანეთის გადამეტებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გილაშვილი.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1986 წლის 29 ნოემბერი.

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის, საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ გ. ა. ანდრონიკაშვილის თანამოხსენება

ᲞᲐᲢᲘᲫᲘᲛᲔᲣᲚᲘ ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დღევანდელი სესია მიმდინარეობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ძირეული გარდაქმნების ისტორიულ ეტაპზე. რესპუბლიკის მშრომელები დიდი პოლიტიკური აღმავლობითა და თავდადებული შრომით იღვწიან, პარტიის ყრილობებისა და შემდგომი პლენუმების მიერ დასახული ვრცელი პროგრამის სარეალიზაციოდ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს გადაწყვეტილებათა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მითითებათა შესაბამისად. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მიმდინარე წლის 11 ნოემბერს განიხილა და ძირითადად მოიწონა რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მომავალი წლის გეგმის პროექტი. ბიურომ აღნიშნა, რომ დადებითი ტენდენციების განმტკიცებასთან ერთად სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკაში არსებობს სიძნელეები, გადაუჭრელი პრობლემები, მნიშვნელოვანი ნაკლოვანებები და განსაზღვრა ქმიანობის კარდინალურად გარდაქმნის უმთავრესი გზები. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენიშვნებისა და მითითებების გათვალისწინებით უმაღლესი საბჭოს მუდმივმა კომისიებმა ღრმად და კომპლექსურად განიხილეს რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი და მივიდნენ დასკვნამდე, რომ იგი ძირითადად უპასუხებს ქვეყნის დაჩქარებული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული კურსის მოთხოვნებს.

კომისიებმა შემოიტანეს წინადადება დამტკიცდეს საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმა. უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივი კომისიების შენიშვნები და რეკომენდაციები ვრცლად არის ასახული დასკვნებში. ნება მიბოძეთ, შევჩერდე მხოლოდ იმ საკვანძო საკითხებსა და ამოცანებზე, რომელთა გადაწყვეტასაც, კომისიების თვალსაზრისით, პრინციპული მნიშვნელობა აქვს მომავალი წლის გეგმის შესრულებისათვის.

1987 წლის გეგმის პროექტით დასახულია საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბების შემდგომი მნიშვნელოვანი გაფართოება. მთლიანად ქვეყანაში ჩამოყალიბებული პროპორციის თანახმად გეგმის პროექტში შენარჩუნებულია „ბ“ ჯგუფის პროდუქციის უპირატესი ზრდა, რომელიც შეადგენს 6 პროცენტს „ა“ ჯგუფის პროდუქციის 3,2 პროცენტით ზრდის პირობებში.

1987 წლის გეგმის პროექტი ეკონომიკის განვითარების უპირატესად ინტენსიურ გზაზე გადაყვანის უმნიშვნელოვანესი ამოცანების შესაბამისად მიზნად ისახავს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების 4,5 პროცენტით ზრდას და ამ ფაქტორის ხარჯზე წარმოებული ეროვნული შემოსავლის საერთო მატების 85 პროცენტით, მატერიალური. და სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ეკონომიის, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების ზუთ ამ რესურსებზე დამატებითი მოთხოვნილების 60-65 პროცენტით დაკმაყოფილებას, მოქმედ საწარმოთა სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესებას.

აღნიშნული ფართო პროგრამის განსახორციელებლად რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა და გაერთიანებებმა კარდინალურად უნდა გარდაქმნან თავიანთი მუშაობის სტილი და მეთოდები.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. ამ საქმეზე მნიშვნელოვანი გავლენა უნდა მოახდინოს რესპუბლიკის საწარმოებში 1987 წლის 1 იანვრიდან გამოშვებული ნაწარმის სახელმწიფო მიღების დანერგვამ. შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სახალხო დეპუტატთა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასკომმა, რაიონებისა და ქალაქების სახალხო დეპუტატთა საბჭოებმა, სახელმწიფო სტანდარტების რესპუბლიკურმა სამმართველომ უნდა განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი პროდუქციის სახელმწიფო მიღების წარმატებით უზრუნველსაყოფად.

მომავალი წლიდან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელი რიგი დარგები მეურნეობრიობის ახალ პირობებში იმუშავებენ, რაც გულისხმობს მართვის ეკონომიკური მეთოდების მკვეთრ კაუმჯობესებას, ნამდვილი სამეურნეო ანგარიშის დანერგვას, თვითდაფინანსების პრინციპების დამკვიდრებას. ყოველივე ეს მეტად მწვავედ აყენებს სამეურნეო მართვის ყველა დონეზე ეკონომიკური მუშაობის სტილისა და მეთოდების უზრუნველყოფის პრობლემას.

გეგმის პროექტით გათვალისწინებულია მსხვილი სახალხო-სამეურნეო კომპლექსების დინამიკური და პროპორციული განვითარების ღონისძიებები. ამ კომპლექსებიდან პრიორიტეტული მნიშვნელობა ენიჭება მანქანათმშენებლობას, რომლის სასაქონლო პროდუქციის მოცულობა უნდა გაიზარდოს 7,7 პროცენტით. უპირატესი ტემპით განვითარდება მისი ისეთი პროგრესული არალითონტევადი დარგები, როგორიც არის ხელსაწყოთმშენებლობა. მთლიანად დარგის მიერ ათვისებული იქნება 130 დასახელების ახალი ნაკეთობა, მათ შორის 40 — პირველად ჩვენს ქვეყანაში.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ხვეთ 9,1 პროცენტით უნდა გაიზარდოს ელექტროენერგიის წარმოება. მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის ელექტრობალანსი მაინც დეფიციტური რჩება.

1987 წლის გეგმის პროექტი ითვალისწინებს სასურსათო პროგრამით გათვალისწინებული დავალებების თანამიმდევრულ რეალიზაციას აგრარულ-სამრეწველო კომპლექსში შემავალი ყველა დარგისა და სფეროს შეწონასწორებული და დინამიური განვითარების საფუძველზე.

მეცხოველეობის განვითარების დასახული პროგრამის სარეალიზაციოდ საჭიროა საფუძვლიანად გადაიჭრას საკვების წარმოების პრობლემა, მოსახლეობის პირადი დამზმარე მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ჩათვლით.

კიდევ უფრო განვითარდება აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი გადამამუშავებელი მრეწველობის დარგები. მნიშვნელოვნად გაიზრდება სხვადასხვა სახის კონსერვების, უალკოჰოლო სასმელების, მინერალური წყლების, საკონდიტრო ნაწარმის, რძისა და რძის პროდუქტების წარმოება, არსებითად გაუმჯობესდება მათი ხარისხი. გაგრძელდება სტრუქტურული ძვრები ღვინის მრეწველობაში.

სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მოთხოვნილებების ზრდის შესაბამისად გეგმის პროექტი ითვალისწინებს ყველა სახეობის ტრანსპორტის შემდგომ განვითარებას. საგეგმო წელს გაგრძელდება კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის პირველი რიგის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები, მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის, თბილისის რკინიგზის სადგურის მშენებლობა, მწყობრში ჩადგება თბილისის შემოსავლელი გზა და ა. შ.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის კომისია აყენებს საკითხს, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაუბრუნდეს ფინანსთა სამინისტროს მიერ ეკონომიკური სტიმულირების ფონდებისა და სხვა სახეობის არასწორად ამოღებული 13,6 მილიონი მანეთი, ვინაიდან ავტოტრანსპორტის სამინისტრო მომდინარე წლის 1 იანვრიდან მუშაობს მეურნეობრიობის ახალი მეთოდით — თვითდაფინანსებით. საგეგმო-საბიუჯეტო კომისიას ეზიარნია, რომ აღნიშნული საკითხი უნდა განიხილოს მინისტრთა საბჭომ და გადაწყვიტოს არსებული წესის შესაბამისად.

სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას გაისად მოხმარდება თითქმის 2,4 მილიარდი მანეთი კაპიტალდაბანდებები. ამასთან, ისინი უპირატესად მოხმარდება იმ დარგების განვითარებას, რომლებიც განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის განვითარებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპს.

რესპუ

საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტის, საქართველოს სსრ 1986 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობის, საქართველოს სსრ 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტისა და 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგების [illegible]

(დასასრული)

ოდ გადაეცეშა თითქმის 1,9 მილიონი კვადრატული მეტრი სალერთო საცხოვრებელი ფართობი. პროგრამის განხორციელება საბინაო პირობებს გაუუმჯობესებს დაახლოებით 100 ათას კაცს.

გეგმით გათვალისწინებული დაფალუბების პრაქტიკული რეალიზაცია მოითხოვს ეკონომიკის ყველა რგოლის რიტმული მუშაობის უზრუნველყოფას, ძალებისა და რეზერვების მაქსიმალურ მობილიზაციას, საგეგმო, საშემსრულებლო და შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის ფართოდ გაშლას. ახლა მთავარია, რომ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, შრომითი კოლექტივების მთელი ძალისხმევა უნარიანად წარვმართოთ მის სარეალიზაციოდ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა განსაზღვრულია 3 მილიარდ 256 მილიონ 613 ათასი მანეთის ოდენობით.

მომავალი წლის ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის დარგების შემდგომ განვითარებას მოხმარდება მილიარდ 508 მილიონ 715 ათასი მანეთი, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსებისათვის განკუთვნილი იქნება მილიარდ 687 მილიონ 105 ათასი მანეთი, ანუ რესპუბლიკის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობის 51,9 პროცენტი. გარდა ამისა, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებს მოხმარდება სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, სამომხმარებლო კოოპერაციის მნიშვნელოვანი სახსრები.

საბიუჯეტო სახსრების თითქმის ყოველი მეორე მანეთი მოხმარდება სკოლების, სკოლამდელი ასაკის ბავშვთა და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის შემდგომ გაფართოებას, მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებას, სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებს, მეცნიერებისა და ხელოვნების შემდგომ აყვავებას.

რესპუბლიკის მთავრობის მიერ წარმოდგენილი საქართველო ს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის წინასწარი განხილვისათვის უმაღლესი საბჭოს საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივმა კომისიებმა დიდი და სასარგებლო მუშაობა ჩაატარეს. ფულდასშინა იქნა განხილული და გაანალიზებული სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებებისა და სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებიდან შემოსული წინადადებანი.

მნიშვნელოვანია სახალხო მეურნეობისა და მის ცალკეულ დარგებში არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების ანალიზის მიზნით შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დარგობრივი - მოსამზადებელი კომისიები, რომელთა მუშაობაში ფართოდ ჩაებნენ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, ფინანსთა სამინისტროს, სახალხო კონტროლის კომიტეტის წარმომადგენლები, აგრეთვე სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის სპეციალისტები.

საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა კომისიებმა წინასწარი განხილვის პროცესში გეგმისა და ბიუჯეტის ცალკეულ ნაწილებში შეიტანეს მთელი რიგი კორექტივები და შენიშვნები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვებისა და საშუალებების გამოვლენას, გეგმისა და ბიუჯეტის შეწონასწორების დონის ამაღლებას.

მოსამზადებელი კომისიების სხდომებზე მოისმინეს სამინისტროების, სახელმწიფო კომიტეტების, უწყებების, მოსამზადებელი ჯგუფის ხელმძღვანელთა 40-ზე მეტი მოხსენება და ინფორმაცია.

გეგმისა და ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობდნენ და თავიანთი შენიშვნები გამოთქვეს არა მარტო დეპუტატებმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის და ფინანსთა სამინისტროს, სახალხო კონტროლის კომიტეტის წარმომადგენლებმა, არამედ რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების, ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების წარმომადგენლებმა.

შენიშვნებისა და წინადადებების ნაწილი საფუძვლიანი შესწავლისა და გაანალიზების შედეგად დაკმაყოფილებულია. ზოგიერთი მათგანის შესახებ საკითხი დაისვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინაშე, რათა ისინი განხილულ იქნეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების პროცესში. წინადადებათა უმნიშვნელო ნაწილი ვერ გადაწყდა დადებითად მათი არარეალურობისა და სათანადო მატერიალური და ფინანსური სახსრების ნაკლებობის გამო.

საგეგმო-საბიუჯეტო კომისიამ სხვა მუდმივ კომისიებთან ერთად გააანალიზა 1987 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილი და შესაძლებლად მიაჩნია რესპუბლიკის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი გადიდდეს 4 მილიონ 270 ათასი მანეთით.

საგეგმო-საბიუჯეტო და სხვა მუდმივ კომისიებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ ამ სახსრებიდან ქალაქების, რაიონული ცენტრებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების კეთილმოწყობას მოხმარდეს მილიონ 55 ათასი მანეთი, სადაბო და სასოფლო საბჭოებისათვის ინვენტარ-მოწყობილობის შეძენას — 540 ათასი მანეთი, განათლებისა და კულტურის დაწესებულებებისათვის ინვენტარ-მოწყობილობის შეძენას და მათი შენობა-ნაგებობების კაპიტალურ რემონტს მილიონ 515 ათასი მანეთი, ჯანმრთელობის დაწესებულებების ინვენტარ-მოწყობილობის შეძენას და შენობა-ნაგებობათა კაპიტალურ რემონტს — მილიონ 160 ათასი მანეთი.

აღნიშნულ ცვლილებათა გათვალისწინებით საგეგმო-საბიუჯეტო სხვა მუდმივ კომისიებს წინადადება შემოაქვთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1987 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა როგორც შემოსავლის, ისე მისი გასავლის ნაწილში დამტკიცდეს 3 მილიარდ 260 მილიონ 883 ათასი მანეთის ოდენობით.

სხვა მუდმივმა კომისიებმა განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის 1985 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და შემოაქვთ წინადადება დამტკიცდეს ეს ანგარიში შემოსავლის ნაწილში 3 მილიარდ 368 მილიონ 671 ათასი მანეთის ოდენობით და გასავლის ნაწილში 3 მილიარდ 290 მილიონ 379 ათასი მანეთის ოდენობით გასავალზე შემოსავლის 78 მილიონ 292 ათასი მანეთის გადამეტებით.

გაანალიზეს რა 1986 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობა, მუდმივმა კომისიებმა მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაობის დადებით შედეგებთან ერთად აღნიშნეს, რომ მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის ზოგიერთ დარგში კვლავ შეიმჩნევა ნაკლოვანებები, მთელი რიგი საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები ვერ ასრულებენ პროდუქციის რეალიზაციის გეგმას მიწოდების ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა ჩათვლით, დაბალია მათ მიერ საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების კოეფიციენტი და შრომის ნაყოფიერება, სრულად ვერ იყენებენ არსებულ შიდასაწარმოო რეზერვებს.

მუდმივმა კომისიებმა წარმოადგინეს დასკვნები საქართველოს სსრ ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1987 წლის გეგმისა და 1987 წლის ბიუჯეტის შესახებ და მათი დავალებით შემომაქვს წინადადება, რომ შესწორებების გათვალისწინებით მთლიანად მოვიწონოთ და დავამტკიცოთ ისინი. დამტკიცდეს აგრეთვე 1985 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. **(ტაში).**

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონსა და საქართველოს სსრ ზოგიერთ საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანა

საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის დეპუტატ ა. ა. შუშანაშვილის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

ახალგაზრდა თაობის სწავლება და აღზრდა, აქტიური სოციალური ცხოვრებისათვის მისი მომზადება, კომუნისტური მშენებლობის შემადგენელი ნაწილი, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ერთი-ერთი მთავარი საფუძველია. საბჭოთა საზოგადოებრიობის განვითარების მიმდინარე ეტაპი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში შრომის ორგანიზაციისა და პიროვნების გარდაქმნის ამოცანა კიდევ უფრო დიდ მოთხოვნებს უყენებს ადამიანების განათლებასა და პროფესიულ მოამზადებას. თანამედროვე პირობები, აღნიშნა ამხანაგმა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე, უფრო სრულად უნდა განვახორციელოთ სწავლებისა და ნაყოფიერ შრომის შეჯამების ლენინური პრინციპი. უფრო მტკიცედ ვიღვაწოთ, რათა გავზარდოთ სწავლების ეფექტიანობა, ძირეულად გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომისათვის, აღვზარდოთ ახალი საზოგადოების შეგნებული მშენებელი.

ბოლო დროს მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა სახალხო განათლების სისტემის სრულყოფისა და განვითარებისათვის, მიღებულია ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითადი მიმართულებანი, პარტიისა და მთავრობის დადგენილებები რეფორმის კონკრეტულ საკითხებზე. ამ სახელმძღვანელო დოკუმენტების შეესაბამისად ხდება მოქმედი კანონმდებლობის გადასინჯვა და განახლება, სკოლის რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა. 1985 წლის 27 ნოემბერს სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო განათლების კანონმდებლობის საფუძვლების ახალი რედაქცია, ცვლილებები შეიტანა მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებში, მოკავშირე რესპუბლიკებს უმაღლეს საბჭოებს დაავალა კანონმდებლობა შეუსაბამონ საფუძვლებს. ამ დავალების შესასრულებლად რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრომ, შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად მომზადა და თქვენს განსახილველად წარმოდგენილი კანონპროექტები ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული სკოლის რეფორმის ძირითად მიმართულებებთან დაკავშირებით სახალხო განათლების შესახებ საქართველოს სსრ კანონსა და საქართველოს სსრ ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილებათა შეტანის თაობაზე.

ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ ამ კანონპროექტების არსებითი მხარეები და სიახლეები.

კანონის ახალი რედაქციის პროექტში დაწუსტებულია სახალხო განათლების მიზნები და ამოცანები თანამედროვე ეტაპზე, აღნიშნულია, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდა თაობის სწავლებისა და აღზრდის ხარისხს ყოველმხრივ ამაღლებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ახალგაზრდობის შრომისათვის მომზადების ძირეულ გაუმჯობესებას, ქვეყანაში საყოველთაო პროფესიული განათლების შემოღებას, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბნის მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფასა და მათი პროფესიული დონის დღენიადაგ ამაღლებას.

კანონის პროექტში სახალხო განათლების ძირითად პრინციპებად გამოცხადებულია ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლება და ახალგაზრდობის პროფესიული განათლება. საკანონმდებლო წესით დამკვიდრდა დებულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა სახელმწიფო მოზარდ თაობას უქმნის საყოველთაო საშუალო განათლების მიღებისათვის ყველა საჭირო პირობებს და რომ საშუალო განათლების მიღება თითოეული ახალგაზრდა მოქალაქის მოვალეობაა. ახალგაზრდობის საყოველთაო პროფესიულ განათლებაზე თანამიმდევრული გადასვლის მიზნით პროექტში მოცემულია ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების განვითარებას და სრულყოფას საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ, აგრეთვე საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. პოლიტექნიკურ საფუძველზე განხორციელდება აგრეთვე შრომითი სწავლება საშუალო ზოგადსაგანმანათლებ ლო სკოლებში.

სახალხო განათლების ხელმძღვანელობის საქმეში მნიშვნელოვნად იზრდება სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლი და პასუხისმგებლობა. სახალხო დეპუტატთა საბჭოებს ეკისრებათ საყოველთაო საშუალო განათლებისა და ახალგაზრდობის საყოველთ ა ო პროფესიულ განათლებაზე გადასვლის უზრუნველყოფის, მათდამი დაქვემდებარებული სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებების ხელმძღვანელობის, პედაგოგიური კადრების შერჩევასა და განაწილებაში დახმარების გაწევის დიდმნიშვნელოვანი ფუნქციები. სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს ევალებათ განსაზღვრონ მოსწავლეთა შრომითი მომზადების პროფილები, ორგანიზაცია გაუწიონ მათს შრომითს სწავლებას, კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, ახალგაზრდობის შრომისათვის მომზადების ძირეულ გაუმჯობესებას, ქვეყანაში საყოველთაო პროფესიული განათლების შემოღებას, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბნის მუშათა და სპეციალისტთა კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფასა და მათი პროფესიული დონის დღენიადაგ ამაღლებას.

კანონის პროექტში სახალხო განათლების ძირითად პრინციპებად გამოცხადებულია ახალგაზრდობის საყოველთაო საშუალო განათლება და ახალგაზრდობის პროფესიული განათლება. საკანონმდებლო წესით დამკვიდრდა დებულება იმის შესახებ, რომ საბჭოთა სახელმწიფო მოზარდ თაობას უქმნის საყოველთაო საშუალო განათლების მიღებისათვის ყველა საჭირო პირობებს და რომ საშუალო განათლების მიღება თითოეული ახალგაზრდა მოქალაქის მოვალეობაა. ახალგაზრდობის საყოველთაო პროფესიულ განათლებაზე თანამიმდევრული გადასვლის მიზნით პროექტში მოცემულია ნორმები, რომლებიც ითვალისწინებს პროფესიული განათლების განვითარებას და სრულყოფას საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ, აგრეთვე საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში. პოლიტექნიკურ საფუძველზე განხორციელდება აგრეთვე შრომითი სწავლება საშუალო ზოგადსაგანმანათლ ებ ლ ო სკოლებში.

ამავადამ მოქმედი სახალხო განათლების კანონისაგან განსხვავებით წარმოდგენილ კანონპროექტში განათლების მთავარ სოციალურ ფუნქციად მიჩნეულია ახალგაზრდობის იდეურ-ზნეობრივი სამყაროს ჩამოყალიბება. ამტოლმაც ყველა ტიპის და საფეხურის სასწავლო აღზრდელობითი დაწესებულების მთავარი ამოცანაა მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდა, მათთვის საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთების, ჰუმანიზმის, ამხანაგობისა და კოლექტივიზმის, პასუხისმგებლობის, სოციალისტური დისციპლინისა და ორგანიზებულობის, სხვა ჭეშმარიტი მოქალაქეობრივი თვისებების ჩანერგვა.

ამ ამოცანის წარმატებით შესრულებაში გადამწყვეტი წვლილი უნდა შეიტანოს მეცნიერებამ. ეს უაღრესად საჭირო დებულება, აისახა კანონპროექტის მე-14 მუხლში, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საქართველოს სსრ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების ფუნქციებში, ამ

უცხოეთში
ფაქტები • მოვლენები

არ დავუშვათ ელექტრო-ენერგიის გაძღახარჯვა

ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტის პირობებში, რასაც ახლა მთელი ქვეყანა განიცდის, სამეურნეო მუშაკთა მიდგომა მისი ხარჯვისადმი ძირეულად უნდა შეიცვალოს. მხოლოდ ყოველი კილოვატსაათის ყოველდღიური გულმოდგინე ეკონომია მისცემს შესაძლებლობას რესპუბლიკას სახალხო მეურნეობას შეასრულოს მიმდინარე წლის გეგმა-ვალდებულებანი, წარმატებით დაიწყოს ხუთწლედის მეორე წელი. მაგრამ, როგორც ხაზგასმით აღინიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამართულ თათბირებზე საძობა-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა გადაწყვეტის შესახებ, ყველა ხელმძღვანელმა როდი შეიგნო მიმჭირნეობის პრობლემის მნიშვნელობა და სიმწვავე. როცა ელექტროენერგიის გადახარჯვას ურიგდებიან, ისინი, ბუნებრივია, ელიან მის ზენორმატიულ მიწოდებას, რაც, შექმნილი სიტუაციის პირობებში, შეუძლებელი. მხოლოდ საკუთარი რესურსების იმედი უნდა იქონინონ, არ ელოდონ გარედან დახმარებას.

ამისათან დაკავშირებით გაანალიზეს ინსპექციათა საქმიანობა, რომლებიც კონტროლს უწევენ სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვას. კერძოდ, აღინიშნა, რომ მათ მხოლოდ კი არ უნდა დააფიქსირონ ესა თუ ის მოვლენა, არამედ აქტიურად ეძებონ და აამოქმედონ დამატებითი რესურსები, მიიღონ მკაცრი ზომები გადამხარჯველთა მიმართ, შეუწყვიტონ კიდეც გაზის, ელექტროენერგიის, ნავთობპროდუქტების მიწოდება. პრაქტიკამ ცხადყო, რომ ზემომქედების ასეთი ღონისძიება მართლდება. მაგალითად, ქსელიდან გამოერთვის შემდეგ ოპერატიულად აღმოფხვრეს დენის გადახარჯვის გამომწვევი მიზეზები ქუთაისის ავეჯის კომბინატსა და აბრეშუმსახვევ ფაბრიკაში.

მკაცრად გააკრიტიკეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მოხმარების მდგომარეობა რუსთავის ცემენტისა და გარდაბნის მუყაორუბეროიდის ქარხნებში. აქ იყენებდნენ კუსტიური წარმოების ღუმელს, გასათბობად ხმაროობდნენ ელექტროგასახურებელ ხელსაწყოებს, არ ასრულებენ რესურსების ეკონომიის დავალებებს. ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯარიმები ამგვარი ნაკლოვანებებისათვის უნდა გადაიხადონ არა საწარმოებმა, არამედ ბრალეულმა ხელმძღვანელებმა. ასეთი სასჯელი, რა თქმა უნდა, უფრო ეფექტიანი იქნება.

სულ კი ნოემბერში აღრიცხულია სიმძლავრეთა ლიმიტის გადამეტების 27 შემთხვევა. საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს სისტემაში, მაგალითად, ჯარიმამ 2170 მანეთი შეადგინა, ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროში — 1890 მანეთი, ბათუმის საზღვაო ნავსადგური დაჯარიმდა 25 ათას მანეთზე მეტი თანხით.

განიხილეს აგრეთვე თბილისის ლენინისა და გლდანის რაიონებს საზამთროდ მზადების მდგომარეობა. შემოწმების დროს სერიოზული ნაკლოვანებანი გამოავლინეს გაერთიანება „ჩარხშენებელში“, „ელექტროიზოლიტის“, ფოლად-თუჯსამსხმელო, სილიკატური საკედლე მასალების ქარხნებში. ითქვა, რომ გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა არ მოითხოვს არსებითს დანახარჯებსა და ძალისხმევას, საკმარისია მხოლოდ ის, რომ ხელმძღვანელები ყურადღებით, მზრუნველობით მოეკიდონ ამ ამოცანას. მაგრამ სწორედ ეს არ ჩანს.

თათბირებზე განიხილეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გადახარჯვისათვის ითითეულ ი სამეურნეო მუშაკის პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერების კონკრეტული ღონისძიებანი, განსაზღვრეს მათი მაქსიმალური ეკონომიის გზები.

(საქინფორმი).

ჩამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პარლამენტარები

1 დეკემბერს საქართველოში ჩამოვიდა სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების საფინანსო-ეკონომიკური კომისიის დელეგაცია სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის წევრის, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ე. ლინის მეთაურობით. ჩინელი პარლამენტარები საბჭოთა კავშირში ოფიციალურ საპასუხო ვიზიტად იმყოფებიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების საგეგმო-სამეურნეო კომისიათა მოწვევით.

თბილისის აეროპორტში დელეგაციას დახვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, სხვა ოფიციალური პირნი.

საქართველოს ცხოვრების გაცნობის სამი დღის განმავლობაში სტუმრები ეწევიან რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, დაათვალიერებენ დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, იმოგზაურებენ გორისა და მცხეთაში. (საქინფორმი).

საუბარი საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოში

1 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ბ. გ. გილაშვილმა მიიღო ფრანგული ყოველკვირეულის „პუენის“ რედაქტორი კლოდ ემბერი, რომელიც გაცნობის მიზნით მოგზაურობს ჩვენს ქვეყანაში.

ბ. გ. გილაშვილი გულთბილად მიესალმა სტუმარს, აღნიშნა, რომ საბჭოთა ადამიანების ცხოვრების გაცნობა, პირადი კონტაქტები ხელს უწყობენ ერთმანეთის გაგებას, ნდობის, მეგობრობის დამყარებასა და დაძაბულობის შენელებას.

საუბრის დროს ითქვა, რომ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ურთიერთობას, კერძოდ, საქართველოსა და საფრანგეთის ურთიერთობას დიდი ხნის კეთილი ტრადიციები აქვს. საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობა ეკონომიკისა და ვაჭრობის, კულტურისა და მეცნიერების დარგში პოზიტიურ გავლენას ახდენს ხალხთა ურთიერთგაგების გაღრმავების პროცესზე, ხელს უწყობს საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებას.

კლოდ ემბერმა მადლობა გადაიხადა გულითადი მასპინძლობისათვის, აღნიშნა, რომ საჭიროა მშვიდობის განმტკიცება, მან ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთში დიდი სიმპათიითა ეკიდებიან ქართველ ხალხს, ცხოველ ინტერესს იჩენენ მისი ისტორიისა და კულტურისადმი.

(საქინფორმი).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის, კომპოზიტორ გ. გ. ცაბაძის დამკრძალავი კომისია ვ. რ. ასათიანის თავმჯდომარეობით.

გ. გ. ცაბაძის დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

მ. მ. საბაძის დამკრძალავი კომისიისაგან

საგოლაკო პანაშვიდი გაიმართება 2 და 3 დეკემბერს 19 საათზე ვანსვენებულის ბინაში (ი. ნიკოლაძის ქუჩა, 6), 4 დეკემბერს — 14 საათზე ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის შენობაში. გამოსვენება — 16 საათზე.

დაკრძალვა — დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, გამოჩენილი კომპოზიტორი

გიორგი გაბრიელის ძე ცაბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ლაქა ნაჯუჭზე

ეროვნული ფელეტონი

ეროვნული სიხარული ეწვია ბებო თებროს — ბეუტიკო პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ბავშვთა გუნდისათვის შეარჩიეს.

— აბა, გენაცვალე, — მიმართა მან ქმარს, — ახლა მოგიხდება ყოველდღე ახალი კვერცხი უზიდო შვილიშვილს.

— ვითომ რატომაო?

— ჩამორჩენილი კაცი ხარ, მიხო, — თავი გადაიქნია თებრომ. — ნუთუ არ გაგიგონია, რომ მოღელრები რეპეტიციის წინ ყოველდღე უმ კვერცხს ყლაპავენ? სახმო სიმებს იპოხავენ. ამბობენ, თვით „ქართველი ბულბული“ ვანო სარაჯიშვილიც ასე იქცეოდაო, მაგრამ, იცოდე, კვერცხი მხოლოდ დიეტური უნდა იყოს.

— ეს დიეტური რაღაა? — დაინტერესდა ბეუტიკო. — მას აქაურად არ ეპიტნავებოდა უმი კვერცხის ყლაპვა თავისი დიდი მოგალის გულისთვისაც კი.

— ასეთი უბრალო რამე როგორ არ იცი? — გაუკვირდა მიხოს და წიგნის კარადიდან გადმოიღო ბროშურა „ტექნიკური პირობები. საჭმელი კვერცხი ქათმისა“, რომელიც სახალხო კონტროლის კომიტეტის ინსპექტორად მუშაობის დროიდან შემორჩა. და მალე შვილიშვილმა გაიგო, რომ კვერცხის დადების შემდეგ გასული ვადის, მასისა და შენახვის წესის მიხედვით ისინი იყოფა დიეტურ, სუფრის და არასრულფასოვან კვერცხებად. დიეტურს განეკუთვნება ექვსი დღის კვერცხი, სუფრისას — 25 დღისა. მათი მასისა და ხარისხის მიხედვით არსებობს: I და II კატეგორიის დიეტური, I და II კატეგორიის სუფრისა და არასრულფასოვანი კვერცხი.

— კი მაგრამ, როგორ შეტყობ, როდის დადო ქათამმა კვერცხი? — იკითხა ბეუტიკომ.

მიხომ აუხსნა, რომ ყოველ კვერცხს აქვს შტამპი, რომელზეც აღნიშნულია „გამოშვების“ თარიღი, დიეტურს ნაჯუჯი სუფთა, დაუზიანებელი უნდა ჰქონდეს.

— გეყოფა, დაშოშმინდი! —შეეკვეთა თებრო. — შენ რა, ბალოს სახალხო კონტროლიორად ხომ არ ამზადებ?

მაგრამ მიხომ, ტექნიკური პირობები რომ ჩამოთვალა, ფასებზე გადავიდა. მაგალითად, პირველი კატეგორიის დიეტური კვერცხი, კითხულობდა იგი, ათი ცალი 1 მან. და 30 კაპ. ღირს, მეორე კატეგორიისა — 1 მან. და 05 კაპ., I კატეგორიის სუფრისა — 90 კაპ., II კატეგორიისა — 80.

— გაიგე, შენი კატეგორიების განსაზღვრით მაღაზიებში თავს არ იტკივებენ.

მაგრამ მიხო განაგრძობდა:

— არის კიდევ რვა ეგრეთ წოდებული „სასარტყელო ფასები“.

— გაჩუმდი, ვერ ხედავ, ბაბშვი ცუდად გახდა.

მართლაც, ბეუტიკო გაფითრებული და დაბნეული იდგა...

მეორე დღესვე მიხო შეუდგა ქართული სოპერო ხელოვნების მომავალი ვარსკვლავის დიეტური საქონლით მომარაგების დარგში თავისი მოვალეობის შესრულებას.

იგი გაემართა უახლოეს №19 მაღაზიაში, თბილისის ორჯონიკიძის რაიონში რომ არის. გულმოდგინედ შეამოწმა კვერცხები. მაგრამ თარიღის აღმნიშვნელი ზუსტი „საცნობი ნიშნების“ ნაცვლად მხოლოდ რაღაც წითელ ლაქებს ხედავდა. ბოლოს ძლივძლივობით გაარჩია, რომ კვერცხი დადებულია ცხრა დღის წინათ, ფასი კი... დიეტურისა აქვს. ჰკითხა მაღაზიის გამგეს გ. შანიძეს: რაო, რაშია საქმეო? მან შუბლზე ხელი იტკიცა:

— პარდონ, დაგვავიწყდა გადაგვეყვანა სუფრისაში.

მიხო გაეშურა მეორე, №11 მაღაზიაში და აქაც — ო, საოცარი დამთხვევა — გამგემ ლ. თაყაიშვილმაც შუბლზე ხელი იტკიცა: დამავიწყდაო!

არც №51 მაღაზიის გამგეს უ. ჟორჟოლიანს ჰქონია კარგად მეხსიერების საქმე.

დადიოდა მიხო მაღაზიიდან მაღაზიაში და რას ხედავდა — ერთი თვის დადებულ კვერცხსაც, ნაჯუჯგაბზარულსაც და თხილისოფლისასაც — ყველას „დიეტურიაო“ ეწერა. თებრო მართალი გამოდგა: კატეგორიების განსაზღვრით არსად თავს არ იტკივებდნენ: და უცებ პაპას კვლავ გაეღვიძა ინსპექტორის სული. „საინტერესოა თუხდაც დააწლებით გავიგო, რა უჯდება მყიდველს მაღაზიის გამგეები „გულმავიწყობა“?

— მომიტა, ერთი, შენი კომპიუტერი და გვერდით მომიჯექ, — უთხრა მან საღამოს ბეუტიკოს. — ამოცანა უნდა ამოხსნა. მაშ, ასე, პირობა ასეთია: რესპუბლიკაში კვერცხის საბაზრო ფონდი ერთ წელიწადში შეადგენს 500 მილიონ ცალზე მეტს. დავუშვათ, რომ ამ რაოდენობის 25 პროცენტის (სინამდვილეში გაცილებით მეტის — გ. ლ.) გადაყვანა გულმავიწყ ხალხს ავიწყდებათ, მაგალითად, ათი ცალი ი მანეთი და 30 კაპიკიანი I კატეგორიის დიეტურისა I კატეგორიის სუფრისაში, რომელიც 40 კაპიკით უფრო იაფია. კითხვა: რამდენ უკანონო შემოსავალს იღებენ მაღაზიები?

ბეუტიკომ ყოჩაღად დააჭირა ქოპები კომპიუტერს და სწრაფად გამოიყვანა:

— 5 მილიონი მანეთი... ოჰო!

— მეც მანდა ვარ, — ულაშში გადაიგრიხა და გაჯავრებით თქვა მიხომ. — აქ უკვე ვეღარ იტყვი, ეს საქმე კვერცხს ნაუჭამიეთ არა ღირსო. თუ „დაავიწყდათ“ I კატეგორიის დიეტურის გადაყვანა II კატეგორიის სუფრისაში? მაგრამ თუ ისინი საკოლმეურნეო ბაზარზე გაიტანეს? ანდა სხვა სარტყლის რაიონში?..

და განა მხოლოდ და მხოლოდ კვერცხი იძლევა ფასებით ასეთი მანიპულირების საშუალებას? პაპა მიხომ კიდევ ერთი ამოცანა მისცა.

როგორც ვიცით, საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, დიდად პოპულარულია ყველი — სულგუნი, რომელიც ორი სიტყვისაგან არის ნაწარმოები — „სული“ და „გული“. მაგრამ, ერთი გვიბრძანეთ, როგორ არ გაუსაღებ გული ყიდველს, როცა ხედავს, რომ სწორედ ამ სულგუნს გასტრონომში ორ მანეთად ყიდიან, კოოპკავშირის მაღაზიებში — ხუთ მანეთად, ბაზარში კი 6-7 მანეთად? და თითქმის ყველგან იგი შესახედაობითაც და გემოთიც საოცრად ჰგავს სახელმწიფო ყველის ქარხნების პროდუქციას. ახლახან მილიციის მუშაკებმა საქონლისმცოდნე ბალრი მკვანაძის მანქანის სამარგულში აღმოაჩინეს ნახევარი ტონა ყველი და რა თქმა უნდა, არც ისე გულუბრყვილონი აღმოჩნდნენ, რომ დაეჯერებინათ მისი მტკიცებისათვის: თბილისის № 17 მაღაზიაში ვიყიდე ოჯახის წევრებისთვისაო. არ დაუჯერეს და სიასლოის სამართლის საქმეც აღძრეს.

ახლა საქონლის ხორცი ვიკითხოთ... ცნობილია, კილოგრამი ხორცის სახელმწიფო შესასყიდი ფასი 4 მანეთია, მოსახლეობისათვის კი ორი მანეთი (განსხვავების ფარავს ხაზინა), კოოპერატორები მას 5-6 მანეთად ყიდიან, ბაზარში კი 6-7 მანეთი ღირს. თუ შეისყიდი ნაკლებ მაღაზიაში და მაშინვე მიჰყიდი სახელმწიფოს, გარიგებისაგან წმინდა მოგება არც მეტი, არც ნაკლები კილოგრამში 2 მანეთია. ამგვარ ოპერაციებს მიმართავენ ხოლმე ხორცის წარმოების „გაღიდების“ შესახებ ყალბი პატაკების მოყვარულნიც.

ეტყობა, პაპას ყველა ამ არითმეტიკულ ამოცანას ერთი გადაწყვეტა აქვს: საჭიროა ფასების შეძლებისდაგვარად გაფრთხილნელიანება. სიტყვამ მოიტანა და, ფასების რესპუბლიკურმა კომიტეტმა ამ ბოლო ხანს ბევრი რამ გააკეთა ფასების მოწესრიგებისა და დამრგვალებისათვის. ამასთან ერთად ხელი ხომ არ მოეკიდათ ქათმის კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებისათვის?

ჯერჯერობით კი ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველა გაქნილის, მათ შორის გულმავიწყი ადამიანების მიმართ. უწესრიგესად ფრთხილად უნდა იყვნენ ისინი, ვისი ფხიზლად ყოფნა სამსახურებრივი მოვალეობაა, საკონტროლო და სამართალდაცვითი ორგანოების — სოციალისტური საკუთრების დაცვებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილებების, პროკურატურის, სახალხო კონტროლის თანამშრომლები და, რაღა თქმა უნდა, ვაჭრობის სამინისტროს, კოოპკავშირის და სხვა სავაჭრო ინსპექციის მუშაკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

ახლახან ბებოს გასახარად ბეუტიკო გუნდის სოლისტად დაწინაურეს და შაირების შესწავლა დაავალეს. მას ძალიან მოეწონა გალექსილი ქართული ანდაზა:

ქათამი ჩვენთან კაკანებს,
კვერცხს კი სხვაგან დებსო,
თანაც განა ჩვეულებრივს,
ნამდვილ ოქროს კვერცხსო.

გ. ლეგანიძე,
(„პრავდის“ კორ.).

„პრავდა“, 1986 წ. 30 XI.

ამინდი

ზამთარი სუსხიანი იქნება

დიდთოვლიანი, ყინვიანი ზამთარია მოსალოდნელი წლევანდელ დეკემბერს საქართველოში. რესპუბლიკის ჰიდრომეტეოროლოგიურის პროგნოზით, ამ თვის მესამე დეკადაში ქართლის მთელ რიგ დაბლობ რაიონებში თერმომეტრის ვერცხლის წყლის სვეტი შეიძლება — 16 გრადუსის ნიშნულამდე დაეშვას. ასეთი რამ არცთუ ისე ხშირად მომხდარა ზამთრის დასაწყისში. ეს ნიშნავს, რომ ბოლო წლების მანძილზე. ნორმაზე მეტი ნალექი მოვა კახეთში, ნაკლები — შავიზღვისპირეთის ჩრდილოეთ ზონაში.

დეკემბრის პირველ ნახევარში დასავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში ჰაერის ტემპერატურა მოსალოდნელია დაახლოებით პლუს 5-7, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ბარში — ნულიდან ოდ გრადუსამდე. როგორც სტატისტიკა მოწმობს, ეს 1-2 გრადუსით ნაკლებია რესპუბლიკაში ზამთრის პირველი თვის საშუალო შრავალწლიან ტემპერატურაზე. როგორც ჩანს, ამ მიზეზით დეკემბრის მესამე დეკადაში საქართველოს სუბტროპიკული ზონის დაბლობ რაიონებშიც მოსალოდნელია 1-დან 6 გრადუსამდე ყინვა. მაშასადამე, წელს მეურნეობის მუშაკებმა, ჩვენ ყველამ ზამთრის საფუძვლიანი თადარიგი უნდა დავიჭიროთ. (საქინფორმი).

1 დეკემბერი ● საკლესიო იუწყება

უცხოეთში
ფაქტები • მოვლენები

სსრ კავშირი—ინდოეთი:

მუშაობის კურსით—მტკიცედ და თანამიმდევრულად

სსრ კავშირი და ინდოეთი თავიანთი მაგალითის ძალით უწყობენ ხელს მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების დამკვიდრებას, გზას უკვალავენ საერთაშორისო უშიშროებას, ახშობენ ბირთვული კატასტროფისაკენ მიმავალ ტენდენციებს, ცხადყოფენ, რომ რეალურად არის შესაძლებელი წინააღმდეგი იმპერიულ პრეტენზიებსა და ამბიციებს, ნეოგლობალისტური ზრახვების თვითნებობას. ამ აზრით არის გამსჭვალული სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის ინდოეთის ვიზიტზე საერთაშორისო გამოხმაურების ნაკადი.

დელი. „ტაიმს ოფ ინდია“, „ინდუსტან ტაიმსი“, „ინდიან ექსპრესი“ და ინდოეთის სხვა გაზეთები პირველ გვერდებზე აქვეყნებენ დიდი ასათაურებით მასალებს — „ინდოეთი და სსრ კავშირი ურბრთვო მსოფლიოსათვის მოგვიწოდებენ“, „ინდოეთი და სსრ კავშირი: მოისპოს ბირთვული იარაღი საუკუნის დამლევისათვის“. ამ მასალებში დიდი შეფასება ეძლევა ორი ქვეყნის, მათი ხელმძღვანელების საგარეო-პოლიტიკურ მოღვაწეობას ქვეყნად საყოველთაო მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის. ინდოეთმა და საბჭოთა კავშირმა წამოაყენეს ერთობლივი წინადადება „მთლიანად მოისპოს ბირთვული არსენალები მიმდინარე საუკუნის დამლევისათვის, არ დაუშვან არანაირი იარაღის გატანა კოსმოსში, მთლიანად აიკრძალოს ბირთვული იარაღის გამოცდა და აშენდეს ძალადობის, სიძულვილის, შიშისა და უნდობლობისაგან თავისუფალი სამყარო“, აღნიშნავს „ჰინდუსტან ტაიმსი“.

„ტაიმს ოფ ინდია“ ხაზს უსვამს დელში მიღებული დეკლარაციის უდიდეს მნიშვნელობას და წერს: „დელის დეკლარაცია ხელს შეუწყობს მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრის აღმავლობას ბირთვული იარაღის წინააღმდეგ ბრძოლაში. დეკლარაციაში ჩამოყალიბებული წინადადება ბირთვული იარაღის გამოყენების -ან მისი გამოყენებით დაშინების საერთაშორისო კონვენციის დადების შესახებ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია მშვიდობის აშენების გზაზე. დეკლარაციის ათი პრინციპი მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის საამისოდ, რომ კაცობრიობას თავიდან ავაცილოთ ბირთვული იარაღი. საბჭოთა მეცნიერთა ჯგუფებმა ამ მიზეზით ბევრი რამ გააკეთა ფასების მოწესრიგებისა და დამრგვალებისათვის. ამასთან ერთად ხელი ხომ არ მოეკიდათ ქათმის კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტებისათვის?

ჯერჯერობით კი ფრთხილად უნდა ვიყოთ ყველა გაქნილის, მათ შორის გულმავიწყი ადამიანების მიმართ. უწესრიგესად ფრთხილად უნდა იყვნენ ისინი, ვისი ფხიზლად ყოფნა სამსახურებრივი მოვალეობაა, საკონტროლო და სამართალდაცვითი ორგანოების — სოციალისტური საკუთრების დაცვებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილებების, პროკურატურის, სახალხო კონტროლის თანამშრომლები და, რაღა თქმა უნდა, ვაჭრობის სამინისტროს, კოოპკავშირის და სხვა სავაჭრო ინსპექციის მუშაკთა მრავალრიცხოვანი ლაშქარი.

ახლახან ბებოს გასახარად ბეუტიკო გუნდის სოლისტად დაწინაურეს და შაირების შესწავლა დაავალეს. მას ძალიან მოეწონა გალექსილი ქართული ანდაზა:

ქათამი ჩვენთან კაკანებს,
კვერცხს კი სხვაგან დებსო,
თანაც განა ჩვეულებრივს,
ნამდვილ ოქროს კვერცხსო.

გ. ლეგანიძე,
(„პრავდის“ კორ.).

„პრავდა“, 1986 წ. 30 XI.

◆ სსრ კავშირ-თურქეთი

განიხილეს შედეგები

ანკარა. აქ მუშაობა დაამთავრა მდინარეებსა და ნაკადულებზე საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო სასაზღვრო ხაზის გავლის შემმოწმებელი ერთობლივი სსრ კავშირ-თურქეთის საკონტროლო კომისიის სესიამ.

განიხილეს ტოპოგრაფიული და აეროფოტოგადაღების სამუშაოების შედეგები, რომლებიც 1986 წელს განახორციელეს მხარეთა ტექნიკურმა ჯგუფებმა სსრ კავშირისა და თურქეთის საზღვრების სამდინარო უბნებზე და დასახეს უახლესი პერიოდისათვის კომისიის საქმიანობის გეგმა.

სესია, რომელიც საქმიანად და გულახდილობის ვითარებაში მიმდინარეობდა, ახალი ნაბიჯია იმ ღონისძიებათა შემუშავების თაობაზე მორიგების პრაქტიკული ხორცშესხმის საქმეში, რომლებიც ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის საზღვარზე ნამდვილი კეთილმეზობლობის ვითარების შენარჩუნებას. მან დადადასტურა საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობაში პოზიტიური პროცესების შემდგომი განვითარება თანამშრომლობისა და კონსტრუქციული დიალოგის საფუძველზე თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპების შესაბამისად.

ფოტოფაქტი

მავნე ქიმიური ნივთიერებებით მოწამლულმა რაინის წყლებმა ჩრდილოეთის ზღვას მიაღწიეს. როგორც ნიდერლანდის ნახმარი წყლების გადამმუშავებელი ინსტიტუტი იუწყება, „ბუმეიანი რაინი“ რამდენიმე დღის განმავლობაში მოწამლავს ზღვის სანაპირო აკვატორიას. იმის გათვალისწინებით, რომ ქვეყნის მოსახლეობისათვის ჯერ კიდევ არსებობს მტკნარი სასმელი წყლის რეზერვუარები, რომელთა გამოყენება რამდენიმე თვის განმავლობაში შეიძლება, ინსტრუქტაჟი წყალმომარაგების საწარმოებს ურჩია თავი შეიკავონ უახლოეს მომავალში რაინის წყლების გამოყენებისაგან. რიგორც ცნობილია, ევროპის უდიდესი მდინარის ვრცელი უბანი მოწამლულია შვეიცარიის „სანდოზისა“ და „ხიმოს“ ქარხნებში მომხდარი ავარიების შემდეგ ქიმიური გამოაფრქვევით.

სურათზე: დასავლეთ გერმანიის ქალაქ უნკელის მცხოვრებნი დგანან წყლის რიგში, მეხანძრეები რომ ანაწილებენ.

დპა-საკლესიო ფოტო.

◆ საფრანგეთი

ბრძა მიმდევრობა

მ. ტეტჩერის ინტერვიუ ჟურნალ „პუენს“

პარიზი. **იმას, რომ ლონდონი მთლიანად უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატების ავანტიურისტულ საგარეო პოლიტიკას, კიდევ ერთხელ მოწმობს დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის მარგარეტ ტეტჩერის მიერ საფრანგეთის ყოველკვირეულის „პუენისათვის“ მიცემული ინტერვიუ.**

მან მხარი დაუჭირა შეერთებული შტატების მიერ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამით გათვალისწინებული საძიებო-ძიების განგრძობას, გააკრიტიკა რეიკიავიკში უმაღლეს დონეზე გამართულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეხვედრის დროს დასაბუთებული ბირთვული განიარაღების მიღწევის შესაძლებლობა. ნატოს სტრატეგია უნდა ემყარებოდეს ბირთვულ შეკავებას, ამტკიცებდა პრემიერ-მინისტრი. ამავე დროს მან მხარი დაუჭირა ვაშინგტონს უკან დახევას პოზიციისაგან, რომელიც ამერიკის დელეგაციამ დაიკავა ისლანდიის დედაქალაქში ბირთვული იარაღის რადიკალური შემცირების საკითხში, აგრეთვე თეთრი სახლის ცდას გადასინჯოს რეიკიავიკის შედეგები. მარგარეტ ტეტჩერმა უარყო ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში ლონდონის პარტნიორების მიერ წაყენებული ბრალდება, რომ მისი მთავრობა ბრმად უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკას.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲝᲠᲬᲧᲐᲚᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ

ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲒᲐᲛᲑᲐᲜᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲡᲘ — ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲜᲩᲔᲡᲢᲔᲠᲘ — ᲓᲐᲛᲬᲧᲕᲜᲘᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲨᲘ ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ ᲒᲣᲜᲓᲘ — 4:0. ᲐᲛᲘᲗᲝᲛ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲜᲐᲠᲩᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲘᲙᲘᲗᲐ ᲣᲛᲚᲘᲔᲠᲘᲡᲚᲘ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲖᲔᲓᲔᲖᲔ ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲯ ᲛᲝᲛᲝᲗᲮᲝᲕᲐ ᲝᲚᲝᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ „ᲝᲚᲠᲝ“.

შეგახსენებთ, რომ ადრე „ოქრო“ უზრუნველყო საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრებმა.

ᲕᲘᲥᲢᲝᲠ ᲒᲝᲒᲚᲘᲫᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲘᲛ 7 მოჭადრაკიდან, რომლებიც მეთერთმეტე ტურამდე დაუმარცხებლად იბრძოდნენ, წააგო ერთბაშად სამმა. გამსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აზმაიფარაშვილს ჩინებული თამაში. მან თანდათან გაზარდა კანცლერთან თავიდანვე მიღებული უპირატესობა და მნიშვნელოვანი გამარჯვება იზიმა. უბილავას გაცილებით უკეთესი პოზიცია ჰქონდა არხიპოვთან, მაგრამ სასტიკ კიბეტნოში შეცდა და დანებება მოუხდა. მალანიუ�წააგო კაროლინთან. ეს უფროსი ოსტატის პირველი მოგება და საპრიზო ადგილის პრეტენდენტის პირველი მარცხია. ფიშერმარა მოუგო გურგენიძეს, ზაიჩიკმა — ბეკარეკს. ტალი ყაიმზე შეუთანხმდა ცვიტანს, რომანიშინმა დაამარცხა მაკდონალდი და დაიწია ლიდერს — ტალს.

მეთორმეტე ტური შედარებით წყნარი გამოდგა. ყაიმით დასრულდა არხიპოვ-ტალის, ცვიტან-ზმაიფარაშვილის, „ბოლო-ბეკარეკის, რომანიშინ-ფოშერმარის და „აიდანოვ-მაკდონალდის პარტიები. უბილავამ მოუგო გურგენიძეს. კანცლერმა მალანიუკს ფიგურა შესწირა პაიკში, მაგრამ გამსვლელი პაიკები მეშვიდე და მეექვსე პორიზონტალამდე მიიყვანა. პარტია ბუნდოვან პოზიციაში გადაიდო.

12 ტურის შემდეგ შეჯიბრებას ერთბაშად სამი ლიდერი ჰყავს. 11-11 შესაძლებლობიდან 8-8 ქულა დააგროვეს ტალმა, რომანიშინმა და აზმაიფარაშვილმა. აზმაიფარაშვილს დარჩენილი 3 პარტიიდან დიდოსტატის ბალის მოსაპოვებლად ერთ-ნახევარი სჭირდება, მაგრამ თუ პირველი პრიზის მოპოვება სურს, მეტის დაგროვებას უნდა ეცადოს. კანცლერს 6,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, უბილავას — 6,5 ქულა. დიდოსტატის ბალის მოსაპოვებლად უბილავას დარჩენილი სამ პარტიაში მხოლოდ მოგება აძლევს ხელს. 6 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს საპრიზო ადგილის კიდევ ერთ პრეტენდენტს მალანიუკს. ცვიტანმა 6 ქულა დააგროვა, მაგრამ რამდენადმე თავისებური შედეგით — მას პარტია არ წაუგია: 10 შეხვედრა ყაიმით დასრულდა და მხოლოდ 1 მოიგო.

გ. გამრეკელი.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲖᲝᲠᲘᲡ. გთავაზობთ ვაკეთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩების შედ